გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 164

2025 წლის 14 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.50.01.407 ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართის და ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) ქონებიდან 15 კვ.მ ფართის, სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ 203828304) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 3 სექტემბერს შემოსულია სს ლიბერთი ბანკის (ს/ნ 203828304) წერილი (N10/2025246124-20), რომელშიც 11 თვის ვადით, მოთხოვნილია, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება, სოფ. დიცში, დიცის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 11.39 კვ.მ უძრავ ქონებაზე (ერთი ოთახი, ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართი) და სოფ. შინდისში, შინდისის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 15 კვ.მ უძრავ ქონებაზე (ერთი ოთახი, ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართი), შემდგომში, მომხმარებლებისთვის საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობისა და კომფორტული მომსახურების მიწოდების მიზნით.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 29 სექტემბრის N 177-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.50.01.407, დაზუსტებული ფართობი-2489.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან 11,39 კვ.მ, (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიცი), უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 8400 (რვაათას ოთხასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 23 სექტემბრის N 174-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.42.11.000.263, დაზუსტებული ფართობი-980.00 კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან 15.00 კვ.მ, მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 10 500 (ათი ათასხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ. ფართის და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს სს ,,ლიბერთი ბანკს" (ს/ნ 203828304) და განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება:

ა) ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართისთვის 8400 (რვაათას ოთხასი) ლარით;

ბ) ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართისთვის 10500 (ათიათას ხუთასი) ლარით.

2. წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართზე განისაზღვროს 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართზე განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით (ჯამში: 2640 (ორიათას ექვსას ორმოცი) ლარით).

3. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 11 (თერთმეტი) თვის ვადით.

4. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ გადაეცემა მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით (საბანკო მომსახურების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით).

5. გორის მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე

GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
21086087